

ოქმი N7

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

2017 წელი, 28 თებერვალი

ქ. ოზურგეთი, 11⁰⁰სთ

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარე: გ.კობალაძე.

თავმჯდომარის მოადგილე: ნ.გოგუაძე.

კომისიების თავმჯდომარეები: ლ.თოიძე, ი.საჯაია, ნ.ტაბატაძე,
ლ.ბიგვავა, მ.მახარობლიძე.

ფრაქციის თავმჯდომარეები: თ.ნადირიძე, კ.კვაჭაძე.

საკრებულოს წევრები: გ.ძიმისტარიშვილი, ნ.შარაშანიძე, ვ. ჩიგოგიძე,
ლ.მგელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი ლ. ჭელიძე, საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები, მედიის წარმომადგენლები. ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელი ა.სურგულაძე

არ ესწრებოდნენ: ნ.ორაგველიძე, თ.სალუქვაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ განცხადების უფლება ითხოვეს დეპუტატებმა ლ. მგელაძემ და ნ. შარაშანიძემ.

დღის წესრიგი

1. „ქ.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებლები: მარიკა ნაცვალაძე

ლავრენტი ბიგვავა

მომხსენებელმა მ. ნაცვალაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

აზრი გამოთქვას: ლ. მგელაძე - ფოლკლორის ცენტრზე რადგან გვთხოვეს, გავითვალისწინოთ, სხვა ცვლილება ჩემთვის გაურკვეველია.

მ. ნაცვალაძემ განმეორებით განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

გ. ძიმისტარიშვილი - თუ თანხა აკლდება ინფრასტრუქტურას და ფინანსდება ფოლკლორი, მე წინააღმდეგი ვარ. თუ გამონახავთ სხვა თანხას, მაშინ კი.

ვ. ჩიგოგიძე - ოზურგეთი გამოცხადებულია ფოლკლორის ქალაქად, ამიტომ თუ აქ არ დაფინანსდება ფოლკლორი, მაშინ 41 ათას ლარად გაკეთებული ინფრასტრუქტურა მე არ მჭირდება.

ლ. მგელაძე - სათვალთვალო კამერების და ვიდეოთვალის მონტაჟისათვის გამოყოფილი თანხა 36 ათ. ლარი, ცოტა არ არის. ვის სჭირდება ეს ვიდეოთვალეები, პოლიციამ დაამონტაჟოს კამერები, ამისათვის მათ დიდი დაფინანსება აქვთ. ამას მირჩევნია შუქნიშანი შევიძინოთ, რითაც მოწესრიგდება მოძრაობა, ნუ გავხარჯავთ თანხას არამიზნობრივად.

მ. წივწივაძე - ამ თანხით გაკეთდება 9 ვიდეოთვალი, რომელსაც გააკონტროლებს პოლიცია.

გ. ძიმისტარიშვილი - ამ საკითხში ვერ დავეთანხმები ლ. მგელაძეს, აუცილებელია ვიდეოთვალეების, კამერებისა და ციმციმების გაკეთება.

ა. სურგულაძე - ფოლკლორის ცენტრი ახორციელებს 1,5 მილიონიანი ინვესტიციას, ბაზა გვაქვს იმისა, რომ ოზურგეთი მართლაც იქნება ფოლკლორის ქალაქი.

ლ. მგელაძე - თუ მუხლობრივად ვუყრით კენჭს, ფოლკლორის დაფინანსებას ვუჭერთ მხარს.

**დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება
დამტკიცდა 9 ხმით**

**წინააღმდეგი: გ. ძიმისტარიშვილი, ლ. მგელაძე, თ. ნადირიძე, ნ. შარაშანიძე.
დადგენილება თან ერთვის**

2. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2016 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენა.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: მარიკა ნაცვალაძე

მომხსენებელმა მ. ნაცვალაძემ სხდომაზე დამსწრეთ გააცნო ანგარიში მერიის მიერ 2016 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

დაადგინეს: ხმათა უმრავლესობით ანგარიში შეფასდა დადებითად. მიღებულ იქნა ცნობათ.

3. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ოქტომბრის N80 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე
თანამომხსენებლები: გიორგი ხუროშვილი
ირინე საჯაია

მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა განმარტა წარმოდგენილი პროექტი. აღნიშნა, რომ საკითხზე მიმდინარეობდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, შენიშვნები არ შემოსულა .

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა 10 ხმით
წინააღმდეგი: გ. ძიმისტარიშვილი, თ. ნადირიძე, ნ. შარაშანიძე.
განკარგულება თან ერთვის

4. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გელა კობალაძე
თანამომხსენებლები: გიორგი ხუროშვილი
ირინე საჯაია

მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა განმარტა წარმოდგენილი პროექტი. აღნიშნა, რომ საკითხზე მიმდინარეობდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, შენიშვნები არ შემოსულა .

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება
დამტკიცდა 12 ხმით
წინააღმდეგი: გ. ძიმისტარიშვილი.
დადგენილება თან ერთვის

5. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

**თანამომხსენებლები: გიორგი ხუროშვილი
ირინე საჯაია**

მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა განმარტა წარმოდგენილი პროექტი. აღნიშნა, რომ საკითხზე მიმდინარეობდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, შენიშვნები არ შემოსულა.

**დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება
დამტკიცდა 12 ხმით
წინააღმდეგი: გ. ძიმისტარიშვილი.
დადგენილება თან ერთვის**

6. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საქმეთა და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: გელა კობალაძე
თანამომხსენებლები: გიორგი ხუროშვილი
ირინე საჯაია**

მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა განმარტა წარმოდგენილი პროექტი. აღნიშნა, რომ საკითხზე მიმდინარეობდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, შენიშვნები არ შემოსულა.

**დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება
დამტკიცდა 12 ხმით
წინააღმდეგი: გ. ძიმისტარიშვილი.
დადგენილება თან ერთვის**

სხდომის თავმჯდომარემ გელა კობალაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

გელა კობალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა